ხელშეკრულება №37

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თერჯოლა 12 თებერვალი 2018 წ.

39721000 - საჭმლის მოსამზადებელი და გასაცხელებელი მოწყობილობები

ერთის მხრივ ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი" წარმოდგენილი დირექტორის მაია თორთლაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „ნოვატელ+" წარმოდგენილი დირექტორის ლალი შალამბერიძის სახით(შემდგომში „მიმწოდებელი") სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია საბავშვო ბაღებისათვის გაზქურების (2 ცალი) (შუქენა ზეშოთ აღნიშნული CPV კოდის მიხედვით მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 998 (ცხრაას ოთხმოცდათვრამეტი) ლარს.

2.2ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადის და მოსაკრებლის სახით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, სასაქონლო ზედნადების/ან ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს მოთხოვნის შესაბამისად.

4.2. საქონლის მიწოდება ხორციელდება ქ. ქუთაისში, ზ. გამსახურდიას ქ. №30-ში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისთვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

მუხლი 6. პირგასამტეხო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 %-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/დასრულების შესახებ.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რაც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;
გ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით.
9.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელ.ფოსტის მეშვეობით.

მუხლი 11. ხელშეკრულების ენა

11.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად, ერთი პირი ინახავს შემსყიდველთან, ერთი მიმწოდებელთან.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან 2018 წლის 1 აპრილამდე.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს თავის უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

მუხლი 14. რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი	შპს „ნოვატელ +“
მისამართი: თერჯოლა, შოთაძის ქ. №6	მისამართი: ქ. ქუთაისი, ზ. გამსახურდიას ქ
საიდენტიფიკაციო კოდი: 231948863	საიდენტიფიკაციო კოდი: 212902867
ხაზინის ერთიანი ანგარიში: 204931440	ანგ. № GE54BG0000000226169500
სახ. ხაზინა: TRESGE22	ბანკის დასახელება: სს. „საქართველოს ბ
ანგ. №GE24NB0330100200165022	ბანკის კოდი: BAGAGE22
დირექტორი	დირექტორი ლალი